ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
ხუთშაბათი
12 ივნისი
№ 135 (17778)
ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის ღირსეთვალთვალი 1980

მომავალი ხუთწლედის ანგარიშში

ტყიბული. (საქინფორმის კორ.). ლენინის სახელობის შახტის მეექვსე ექსპერიმენტული უბნის კოლექტივმა, რომელსაც მ. გვენეტაძე მეთაურობს, ტყიბულში პირველმა შეასრულა ქვანახშირის მოპოვების ხუთი წლის გეგმა. რიტმული, შეთანხმებული მუშაობის შედეგად აქ მიაღწიეს უმაღლეს მაჩვენებლებს — ამოიღეს 100 ეშელონზე მეტი ზეგეგმითი სათბობი.

უბანზე მოქმედი ყველა ტრანსპორტიორი გადაყვანილია დისტანციურ ავტომატურ მართვაზე. ჯალამბრის მოდერნიზაციის შედეგად ყველაზე დაშორებულ ალმავალ მთის გვირაბებში მექანიზებულია სამაგრი მასალების მიწოდება.

ქვანახშირის შრეების წინასწარ წყლით გაჟღენთვის მეთოდის ფართოდ გავრცელების მეშვეობით ლიკვიდირებულია მავნე გაზები და მტვერი. გაიოლდა ქვანახშირის მოპოვების პროცესი.

სხვებსაც უზიარებს გამოცდილებას

ცხინვალის მომმინანქრებელი სადენების ქარხნის კოლექტივი დაწინაურდა მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტური შეჯიბრებაში. საწარმოში ახლა ცოტა როდია ისეთი მუშა, რომელმაც უკვე შეასრულა პირადი ხუთწლედი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჩვენი ბრიგადის წევრმა რაია იგოლაევამ. დიდი ხანი არ არის, რაც იგი ჩვენი ბრიგადის წევრი გახდა, მაგრამ უკვე მოიპოვა გამრჯე მუშის სახელი. ახლა რაია სხვებსაც უზიარებს თავის გამოცდილებას.

მოწინავე მომმინანქრებელი ქარხნის კოლექტივთან ერთად იბრძვის სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ფ. გასიევა,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მომმინანქრებელი სადენების ქარხნის მუშა.

დამკვრელური წლის შრომითი რიტმი

შესრულდა ნახევარი წლის გეგმა

გაგრის შრომის წითელი დროშის ოდენოსანი ჯიმთსანაშენე საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის კოლექტივმა შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის ნახევარი წლის პროგრამა.

გაგრისა და ბიჭვინთის ჯანმრთელობის კერებს, საკურორტო ქალაქის მშრომელებს გაეგზავნა 922 ტონა რძე და 71 ტონა ხორცი. ივნისის დამლევამდე დამზადდება კიდევ სულ ცოტა 200 ტონა რძე.

ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მანქანური წველის ოსტატებმა ა. კოჩეტოვამ, ლ. ბონდარიოვამ, ვ. სიდნევამ და სხვებმა. დიდი ღვაწლი დასდეს აგრეთვე საკვებმომპოვებლებმა, რომლებმაც მეწველი ჯოგი სხვადასხვა საკვებით უზრუნველყვეს.

ახლახან მეურნეობაში შეუდგნენ სარძეო კომპლექსის ფერმებისათვის საკვების დამზადებას. იონჯას მასიდან დასენაჟებულია 650 ტონა. აქ რწყვა ხელს შეუწყობს, რომ მეურნეობაში ოთხ-ხუთჯერ მოთიბონ მწვანე მასა.

დაიწყო აბრეშუმის პარკის დამზადება

რესპუბლიკაში პირველმა მიიღო აბრეშუმის პარკის წლევანდელი მოსავალი ქუთაისის საგრენო ქარხნის კოლექტივმა.

გეგმით გათვალისწინებული 70 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ნაცვლად 80 კილოგრამი ქარხანას პირველმა ჩააბარა ქალაქ წყალტუბოს ზონის სოფელ გვიშტიბის კოლმეურნემ ოლგა ხაბეიშვილმა. მან აბრეშუმის ჭია 23 დღეში გამოიყვანა ჩქაროსნული, ეგრეთ წოდებული ქისტაურული მეთოდით.

66 კილოგრამი — მეგმაზე ორჯერ მეტი აბრეშუმის პარკი მიიღო 10 გრამი გრენიდან ამ ზონის სოფელ სორმონის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ მაგული თუთბერიძემ. აბრეშუმის პარკის დიდი მოსავალი ჩააბარეს საგრენო ქარხანას აგრეთვე სოფელ სორმონის კოლმეურნემ ნინო ჭიჭინაძემ, სოფელ გვიშტიბის კოლმეურნეობის წევრმა ნინო კუჭავამ.

წელს ქარხანა 16800 კილოგრამ აბრეშუმის პარკს დაამზადებს.

საადრეო კარტოფილი — ქალაქებს

ბოლნისის რაიონი საქართველოში წამყვანი რაიონი გახდა საადრეო კარტოფილის წარმოების მხრივ. ამ სეზონში საადრეო კარტოფილის პირველი პარტია გაეგზავნათ მოსკოვის, თბილისის, რუსთავის მშრომელებს.

მოწეულია კარგი მოსავალი. არუხლოს საბჭოთა მეურნეობაში ჯ. აივაზოვის ბრიგადამ ჰექტარ ფართობზე 170 ცენტნერი კარტოფილი მოიწია, რაც გეგმას მნიშვნელოვნად აღემატება.

ჩვენი რეპუბლიკისათვის შედარებით ახალი დარგის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა მისი ინტენსიფიკაცია, რაიონში კარტოფილს დაეთმო ის ფართობები, რომლებიც წინათ ამ რეგიონისთვის ნაკლებრენტაბელურ მარცვლეულ კულტურებსა და თამბაქოს იკავა, ახლა საადრეო კარტოფილისათვის დათმობილი მიწების დიდი ნაწილი სარწყავია, მისი მოყვანის ძირითადი პროცესები კი — მექანიზებული. მთლიანად დარგის მექანიზაციის დონემ 90 პროცენტს მიაღწია.

აშენდა იარაღიზატორები, კარტოფილსაცავები, ორი სატვირთო რკინიგზის პლატფორმა.

წელს ბოლნისელებმა ვალდებულება იკისრეს დაამზადონ 65 ათასი ტონა კარტოფილი — მთელი საადრეო კარტოფილის მოსავლის ძირითადი ნაწილი, რომელიც მიმდინარე წელს რესპუბლიკამ უნდა დაამზადოს. 28 ათასი ტონა საადრეო კარტოფილი გაეგზავნებათ ქვეყნის ჩრდილოეთი რაიონების მცხოვრებთ, ეს 8 ათასი ტონით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს.

(საქინფორმი).

პროდუქციის ხარისხი

ალაპარაკდა თუ არა მეათე ხუთწლედი, კუიბიშევის მეოთხე სახელმწიფო საკისრის ქარხნის კოლექტივმა გაშალა შრომითი მეტოქეობა დევიზით „ყოველ მეორე საკისარს — ხარისხის სახელმწიფო ნიშანი“: აქ მოაგვარეს მჭიდრო თანამეგობრობა მეცნიერებთან, რაც ხელს უწყობს ბევრი პროცესის ავტომატიზაციის დაჩქარებას, მოწინავეთა გამოცდილების უფრო სრულ გამოყენებას. ამის შედეგად ვალდებულებანი ვადამდე შესრულდა: უკვე ახლა სპეციალი ხუთეულიდან არის აღნიშნული საწარმოს პროდუქციის სამოცდაათ პროცენტზე მეტი. საკისრების საიმედოობის გაზრდამ სახალხო მეურნეობას არა ერთი მილიონი მანეთი დაუზოგა.

მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. „მაღალი ხარისხი, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეს არის შრომისა და მატერიალური რესურსების დაზოგვა, საექსპორტო შესაძლებლობათა ზრდა, საბოლოო ანგარიშით კი, საზოგადოების მოთხოვნილებათა უკეთ, უფრო სრული დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომაც პროდუქციის ხარისხის ამაღლებას უნდა ისახავდეს მიზნად დაგეგმვისა და მართვის მთელი მექანიზმი, მატერიალური და მორალური წახალისების მთელი სისტემა, ინჟინერთა და კონსტრუქტორთა მეცადინეობა, მუშათა ოსტატობა“.

თითოეულ დარგში არის ისეთი პროდუქციის გამოშვებისათვის წარმატებული ბრძოლის მაგალითები, რომელიც დონით შეესაბამება საუკეთესო საბჭოურ და საზღვარგარეთულ ნიმუშებს. ახლახან საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის სტანდარტთა სახელმწიფო კომიტეტმა დიპლომებით დაჯილდოვეს მთელი რიგი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებმაც მოიპოვეს ჩინებული შედეგები სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის გამოშვებაში. მათ შორის არიან მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო და ვილნიუსის სათბობი აპარატურის ქარხნები, ვოლგის საავტომობილო ქარხნისა და სუმის ფრუნზეს სახელობის მანქანათსაშენებელი გაერთიანებანი, მინსკის კუიბიშევის სახელობის ტუავ-საგალანტერეო და ტირასპოლის № 4 ავეჯის ფაბრიკები, ათობით სხვა საწარმო. მიმდინარე ხუთწლედის დამდეგიდან 2,3-ჯერ გაიზარდა კოლექტივების რიცხვი, რომლებიც ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმს უშვებენ.

მოწინავეთა მიღწევები ხარისხის პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომის შედეგია. საუკეთესო კოლექტივებისათვის კანონი გახდა დღენიადაგ იზრუნონ თანამედროვე მოწყობილობის დანერგვაზე, ტექნოლოგიის სრულყოფაზე, ახალი ნაწარმით ძველის შეცვლაზე. საქმეს ხელს უწყობს საწარმოს სტანდარტების გამოყენება, რომლებიც მოთხოვნებს საბოლოო პროდუქციისადმი უკავშირებენ ნედლეულისა და მასალების ხარისხს, ხელს უწყობენ ზუსტი კონტროლის მოგვარებას. ბევრი კოლექტივი იყენებს ლვოვის კომპლექსურ სისტემას. მოიცავს რა ყველა საქარხნო სამსახურს, იგი შესაძლებლობას იძლევა უფრო ზუსტად შეაფასონ შრომის შედეგები, ამამაღლონ პასუხისმგებლობა ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის და დაინტერესება მათი გაუმჯობესებით. უკანასკნელ როლს როდი ასრულებს წარმოების მწყობრი რიტმიც, რომელიც გამორიცხავს ავარალებს, ჩავარდნებს.

ПРАВДА
11 ივნისის მოწინავე

პრაქტიკით შემუშავებულია პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის შეჯიბრების ბევრი ეფექტიანი ფორმა. სხვადასხვა დარგის მშრომელები, მაგალითად, აქტიურად იბრძვიან პირველი წარდგენით ნაწარმის ჩაბარებისათვის. მათ შორის საუკეთესოებს მინიჭებული აქვთ უფლება დამზადებულ ნაწარმს დაუსვან პირადი საკონტროლო დამღა. ბევრი მუშა მონაწილეობს შეჯიბრებაში „ხარისხის წარჩინებულისა“ და „ხელმარჯვე ოსტატის“ წოდებისათვის. სარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ეუოადღებით უნდა შეისწავლონ მოწინავეთა გამოცდილება, ამით მეგიარალონ შეჯიბრების მონაწილენი. ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დიფერენციერებულ მიდგომას. ერთი საქმეა, მაგალითად, როცა „ხარისხის წარჩინებულის“ წოდების ან საკონტროლო დამღით პროდუქციის აღნიშვნის უფლებისათვის იბრძვის დიდი საწარმოო ტაბის მქონე ადამიანი და სხვა საქმეა — ახალგაზრდა მუშა. ცხადია, ამ უკანასკნელთან მეტი მუშაობა მოგვიწევს, რათა იგი დაეუფლოს მოწინავეთა ჩვევებს. მაგრამ ეს მეცადინეობა ასეკცად ანაზღაურდება. ამის შედეგად ნაკლები იქნება წუნით გამოწვეული დანაკარგები, ამაღლდება ქარხნის მარკის ავტორიტეტი.

ბევრ საწარმოში ასეთი მუშაობა აქტიურად და მიზანდასახულად წარმოებს. დღეს ჩვენი მრეწველობა უშვებს ოთხმოცი ათასზე შედეგი დასახელების სახელმწიფო ხარისხის ნიშნიან პროდუქციას, თოთხმეტი ათასით მეტს, ვიდრე შარშან. მაგრამ არის სხვაგვარი ფაქტებიც. ცოტაა ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის წილი წარმოების საერთო პროდუქციის ქვანახშირის, მანქანათმშენებლობის, შავი მეტალურგიის, ფეხსაცმლეულ, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში. მომხმარებლები უსაყვედურებენ ტბილისის ელექტროშესაფაზი მოწყობილობის ქარხანას, სვერდლოვსკის ოლქის ირბიტის მოტოციკლეტების ქარხანას, სხვა ნაწარმოებს, რომელთა პროდუქცია თავისი დონით ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. ახლახან „პრავდა“ იუწყებოდა, რომ სნიატინის ვეკეის კომბინატმა (ივანო-ფრანკოვსკის ოლქი) გამოუშვა დაწუნებული გარნიტურები „პოკუტიანკა“, თუმცა ისინი აღნიშნული იყო „ბაბატო ხუთკუთხედით.

არც ერთი შემთხვევა არ უნდა დავტოვოთ პრინციპული შეფასების გარეშე. და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ სათანადოდ დავსაჯოთ დამნაშავენი, როგორც ეს, სხვათა შორის, მოხდა სნიატინის კომბინატში. მთავარია აუარადღებით გავიკვეთ მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის ხარისხიანი პროდუქციის დამზადებას, ავაზარდოთ წარმოების სანიმუშო კულტურისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის შეჯიბრების ქმედითობა. ამ დროს უფრო ტად უნდა ვეყრდნობოდეთ კოლექტივის აზრსა და გამოცდილებას. ძალიან ხშირად „ხარისხის დღეებს“ ეწყობა. უფრო აქტიურად უნდა ჩავბმათ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, ნოვატორთა საბჭოები, ეკონომიკური ანალიზის ბიუროები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

შრომის ხარისხი ზნეობრივი კატეგორიაც არის. კარგ შედეგებს აღწევენ, სადაც სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები შეჯიბრების მიზნად ითვლიან ყველა მონაწილეს უღვიძებენ სიამაყის გრძნობას თავისი ქარხნისათვის, კოლმეურნეობისა თუ მშენებლობისათვის, ამაღლებენ კეთილსინდისიერ მუშაკთა პრესტიჟს, უნარიანად უწევენ პროპაგანდას მათ მიღწევებს. საყურადღებოა პარტიის სარატოვის საოლქო კომიტეტის გამოცდილება: პროდუქციის გაუმჯობესების საკითხები ამ ბოლოდ აქვს ყურადღების ცენტრში. საოლქო კომიტეტთან შექმნილი ხარისხის სექცია რეგულარულად იხილავს საქმის ვითარებას საწარმოებში, დროულად ავლენს ნორმის დარღვევით პროდუქციის გამოშვების შემთხვევებს, უხმარება კოლექტივებს ჩავარდნების მიზეზების აღმოფხვრაში.

მიმდინარეობს ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. საბჭოთა ადამიანები, განაგრძობენ რა დამკვრელურ ვახტს, ცდილობენ აღნიშნონ იგი ახალი შრომითი მიღწევებით, წარმატებით შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, ხორცი შეასხან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს ჩინებული ხარისხის ახალ საბრძოლო საშუალებათა პროდუქციით.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტები — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალები აწყობენ ევროპიანებულ სამეცნიერო სესიას, რომელიც ეძღვნება გაერთიანებულ სამეცნიერო რევოლუციონერის

პროკოფი (ალიოშა) აფრასიონის ძე ჯაფარიძის

დაბადების მე-100 წლისთავს.

სესია გაიმართება 1980 წლის 12 ივნისს დღის 2 საათზე საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29).

საქმეთა გამოაჩინა



საბარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ კოლექტივის მიერ გამოშვებულ მიკროელექტროძრავა ავე-071-ს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. ამით ს

პარტიული ცხოვრება

კადრებთან მუშაობა მუდმივი პროცესია

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში პარტიული და საბჭოთა ორგანოების როლის, კვალიფიციური, ინიციატივიანი მუშაკებით სახალხო მეურნეობის დარგების განმტკიცების შესახებ ფართო და საქმიანი საუბარი გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ახლახან გამართულ პლენუმზე.

მოხსენება — „აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები კადრების მომზადების, განაწილებისა და აღზრდის საქმეში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მოთხოვნების მიხედვით“ — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ.

როგორც მომხსენებელმა, ისე პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ ყოველმხრივ გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ხელმძღვანელი კადრების უკეთ შერჩევისა და აღზრდისათვის, აფხაზეთის ეკონომიკისა და შრომითი რესურსების ზრდის უფრო სრულად გამოყენებისათვის.

ილაპარაკეს რა ამ მნიშვნელოვან საქმეში მომხდარ დადებითს ძვრებზე, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხების გადაწყვეტაში არ უნდა მოხდეს შეცდომები და ხარვეზები, რადგან სხვანაირად შეუძლებელია იმ რთული და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც ამჟამად მრავალგვროვანი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომელთა წინაშე დგას.

ავტონომიური რესპუბლიკის შრომელი მასების აქტიურობის, შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებაში, — ერთსულოვნად აღნიშნავდნენ პლენუმის მონაწილეები, — უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მოთხოვნებმა და სახელმძღვანელო მითითებებმა, რომლებმაც ახალი ეტაპი XXV ყრილობის, ზემოაღნიშნული ისტორიული დადგენილებების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მოთხოვნებს.

ეს; თქვეს პლენუმის მონაწილეებმა, კარგად ჩანს ერთი ასეთი ფაქტითაც: გარდა იმისა, რომ დაშვებულია შეცდომები ხელმძღვანელი კადრების შერჩევის საქმეში, რაც თავისთავად ძალზე ცუდია, პარტიული და სახელმწიფო ორგანოები სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებში სპეციალისტების სწორად განაწილებას და გამოყენებას. გვხვდება ფაქტები, როცა ცალკეული პარტიული და სახელმწიფო ორგანოები სათანადო მომთხოვნელობითა და პრინციპულობით არ უდგებიან კადრების შერჩევის საკითხს, პასუხსაგებ უბნებზე ყოველთვის არ აწინაურებენ ინიციატივიან მუშაკებს, ბევრგან ხელმძღვანელი საშეურნეო კადრების კვალიფიკაცია, მათი საინჟინრო-ტექნიკური მომზადების დონე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს.

ძირითადად ეს არის იმის მიზეზი, — ითქვა პლენუმზე, რომ საერთოდ ბევრ საწარმოში ცუდია შრომის ორგანიზაცია, სრული დატვირთვით არ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებსა და დანადგარებს, დიდია სამუშაო დროის დანაკარგები. კადრების დენადობის გამო სამრეწველო საწარმოებმა 7 მილიონამდე მანეთის მთლიანი პროდუქცია დააკლეს ქვეყანას, ხოლო მშენებლებმა ვერ შეასრულეს მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ბევრი გამოუყენებელი რეზერვია სოფლის მეურნეობაშიც. და მიზეზი აქაც იგივეა — კადრების არასწორი შერჩევა-განაწილება.

კადრებთან სუსტი მუშაობისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში არსებული ნაკლოვანებებისათვის პლენუმზე სამართლიანად და მკაცრად გააკრიტიკეს პარტიის გაგრის, სოხუმის და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტების, ოჩამჩირისა და გალის რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები.

პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის განყოფილებები, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათანადოდ და ეფექტიანად ვერ ეხმარებიან სამინისტროებისა და უწყებების კადრების სამსახურების მუშაკებს, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელებს, სახალხო კონტროლის კომიტეტებს მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფაში, ყოველთვის პრინციპულად და სათანადო მომთხოვნელობით არ აფასებენ კადრების საქმიანობას.

პლენუმმა მოისმინა ინფორმაცია პარტიის საოლქო კომიტეტის 1979 წლის III პლენუმის შემდგომ განვლილ პერიოდში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილება და დაამტკიცა ღონისძიებათა გეგმა.

ვაქოწმეგთ დადგენილების შესრულებას!

მელიორატორთა ზემარტივა

მწყობრში ჩადგება

ათასობით ჰექტარი

მძლავრი სამამულო მექანიზმების გუგუნით შეხვდა კოლხეთის ველ-მინდვრები გაზაფხულს. გალის რაიონის რეფოშმელეთის, ნაბაკევის, განახლების მეცხოველეობის კომპლექსების და ზემო ბაროვნის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიიდან ამ დღეებში ექსკავატორების, ბულდოზერების, ტრაქტორების განუწყვეტელი გრუხუნი ისმის. შეუპოვრად ურტყამენ მექანიზებული რაზმები, და უკან იხევენ საუკუნოვანი ჭაობები. აქ ხორციელდება აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც კოლხეთის დაბლობის დაშრობას და ახალი მიწების სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩაყენებას ეხება.

ამ პროგრამის მიხედვით მარტო გალის რაიონში გათვალისწინებულია 49 ათასი ჰექტარი ახალი მიწის ათვისება და გაუმჯობესება. ახალ მიწებს მელიორატორები კომპლექსურად ითვისებენ. მუშაობენ ტყეების ამოძირკვაზე, გაპაჟავთ საშრობი არხები, აშენებენ ხიდებს, მილხიდებს და გზებს, აწყობენ დახურულ საწრეტებს და საბოლოოდ მსივნებზე ასრულებენ კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოებს. ერთი სიტყვით, აქ მეურნეობებს სათესად ან მრავალწლიანი კულტურების გასაშენებლად სავსებით მომზადებული მიწა ბარდება.

აფხაზეთში სამელიორაციო სამუშაოების მკვეთრ გადიდებასთან დაკავშირებით, გალის რაიონში შეათე ხუთწლედის მეოთხე წლის დასაწყისიდან შეიქმნა „კოლხეთმშენის“ ტრესტის № 20 სამშენებლო სამმართველო.

მიუხედავად რთული ბუნებრივი პირობებისა, აქ ბევრი რამ გაკეთეს ამ ახალგაზრდა კოლექტივის შრომისმოყვარე ადამიანებმა. შარშან შესრულდა 2 მილიონ 320 ათასი მანეთის სამუშაოები, მელიორატორების კარგ მუშაობაზე ისიც მეტყველებს, რომ მათ ნაბაკევის მეცხოველეობის კომპლექსს გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადაეცეს 100 ჰექტარი ახალათვისებული მიწა.

შარშან მთელი წლის მანძილზე ფართო ფრონტით მიმდინარეობდა სამუშაოები. მექანიკოტორიებმა და მებულდოზერეებმა 1.460 ათას კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაოები შეასრულეს. ამოძირკულია 277 ჰექტარი ტყე და ბუჩქნარი, დახურული დრენაჟები (საწრეტები) მოწყობილია 162 ჰექტარზე, გაყვანილია 13 კილომეტრი გზა, აიგო 2 ხიდი და 33 მილხიდი.

მექანიზმების მძლავრი პარკი მელიორატორებს საშუალებას აძლევს გაბედულად შეიჭრიონ კოლხეთის ჭაობებს.

№ 20 სამშენებლო-სამმართველოს უფროსი კარლო ბულია გამოცდილი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსია და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამელიორაციო სამუშაოებში ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებას და მექანიზებულ რაზმებში პროგრესული შრომის ორგანიზაციას. ამიტომაც აქ დიდია ექსკავატორების, ბულდოზერების, ამომძირკველების მწარმოებლობის კოეფიციენტი. მაღალკვალიფიციური მექანიზატორები — სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი გიგლა კიკალია, როინ თოლორდავა, ვაჟა მორგოშია, ვახტანგ ბიგვავა და სხვები ყოველდღიურად ორ-სამ ნორმას ასრულებენ, პირველად ავტონომიურ რესპუბლიკაში გალელმა მელიორატორებმა ლეონტი ცავამ და იური გერგედავამ გამოიყენეს კოლექტორების მშენებლობაში არხგამყვანი „ეტრ-172“. ერთი საათის განმავლობაში ამ მანქანას გაჰყავს 100 კრძივი მეტრი მზა არხი, რომლის სიღრმე 1 მეტრი და 70 სანტიმეტრია, ხოლო სიგანე არხის ზემო ნაწილში — 3,5 მეტრი. კარგად შრომობენ აგრეთვე მებულდოზერეები ივანე ქობალია, ვალერი ჯალაღონია, მექანიკოტორიები მურმან გერგედავა, აკაკი თეთოსანი და სხვები. გალელი მელიორატორები წელს იბრძვიან კომუნისტური შრომის სამმართველოს სახელის მოსაპოვებლად.

მშენებელ მელიორატორებს შესწევთ უნარი, რომ გეგმით გათვალისწინებულზე მეტი სამუშაოები შეასრულონ ხარისხიანად. მხოლოდ საამისოდ მათ სჭირდებათ მექანიზმებითა და ტრანსპორტით უკეთ შომპარაგება. რეფოშმელეთის მეცხოველეობის კომპლექსში, სადაც 300 ჰექტარი ნაჭაობებული მიწაა ასათვისებელი, მხოლოდ ერთი ექსკავატორი მუშაობს. კოლექტორებისა და საკრები არხების უქონლობის გამო (ეს სამუშაოები ჩამორჩენა) აღარც დასაშრობ ქსელს აკეთებენ. აქვე და მეზობელ — ზემო ბაროვნების ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ტექნიკის ნაკლებობა გამო მელიორატორები ვერ იწყებენ ტყის ამოძირკვას. ამ ობიექტებზე ბულდოზერები არა აქვთ გადაუსწორებელი რჩებათ კალილერები — არხიდან ამოღებული მიწა.

კიდევ ერთი სიძნელის წინაშეა დგანან გალელი მელიორატორები. მუშაობის პროცესში ნათელი გახდა, რომ მთავარი კოლექტორებიდან, რომელთა საშუალებით ხდება წყლის ზღვაში გადაგდება, ბევრ კერძო ადგილებში დანიშნულებას ვერ ასრულებენ. ზღვის ღელეებიან კოკასპირული წვიმის დროს ზღვის ნაპირზე სილის ბორცვები იქმნება და წყალი ზღვაში ვეღარ აღწევს. ამის შედეგად წყალი არხშივე გუბდება და უკან ბრუნდება. ეს კი, თავის მხრივ, ელექტრორებისა და სწრეტი შილების დასილვას ვიწვევს, რაც ახლად ათვისებულ მიწებს გამმეორებითი დაჭაობების საფრთხეს უქმნის.

ეს გარემოება მოითხოვს, რომ ზღვის პირას საჩქაროდ აშენდეს წყლის სატუბები სადგურები, გრამ საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საარქიტო ინსტიტუტის დამპროექტებლები არ ჩქარობენ. ამიტომ ამგვარი სადგურების მშენებლებს გალელ მშენებლებს ჯერჯერობით გეგმით გათვალისწინებული აქვთ, ამ საქმის გაჭიანურებამ კი შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს უკვე ათვისებულ მიწებს.

და, კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ახალი მიწების ექსპლოატაციას ეხება.

მელიორატორებს უკვე დღეიდან ეფლვებიან ის საკითხი, თუ როგორ მოუვლიან მეურნეობებში დაშრობილ სავარგულებს. სამწყობაოდან, როგორც ფაქტობრივ მოწმობს, ამისათვის რათინ მეურნეობები ჯერჯერობით მზად არ არიან. არ ზრუნავენ არხების მომვლელი კადრების მოსამზადებლად, არ გააჩნიათ სათანადო ტექნიკაც. უამისოდ კი შეუძლებელია ახალი საწრეტი არხების ექსპლოატაცია. თუ არხის რომელიმე მონაკვეთზე მიწა ჩამოწვა და იგი დაუყოვნებლივ აამაღლეს, საწრეტ მილებს გაიჭედება და მწყობრიდან გამოვა. ეს ეს ფართობების ხელახალი დაჭაობების საფრთხეს შეიქმნის.

ი. ბოგვაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მათი ნახელავი სანიმუშოა

ზრდის საფეხურები

საკავშირო სააქციო საზოგადოების „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების ფარგლებში 12 წლის წინათ სამშენებლო-სარემონტო უბანი დაარსდა. ამ პატარა ორგანიზაციის კოლექტივმა იმთავითვე რთულ სამუშაოებს მოჰკიდა ხელი და მალე დაამტკიცა თავისი ნამდვილი სიცოცხლისუნარიანობა.

სწორედ ამიტომ იყო რომ მოკლე დროში უბანი სამმართველოდ, ხოლო შემდეგ ტრესტად გარდაიქმნა. უბანთან ერთად გაიზარდნენ მისი სპეციალისტებიც. ტრესტის სამმართველოების უფროსებად და მთავარ ინჟინრებადაც აქ გაზრდილი და ჩამოყალიბებული სპეციალისტები დაინიშნენ.

„ინტურისტსპეცმშენი“ დღეს სოლიდური ორგანიზაციაა, რომელიც რამდენიმე სამმართველოს აერთიანებს როგორც თბილისში, ისევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, მის განკარგულებაშია აგრეთვე საპროექტო კანტორა, საწარმოო ბაზა და საკმაოდ მოზრდილი საბოსტნე მეურნეობა საგარეჯოს რაიონში.

ტრესტის კოლექტივმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა სასტუმროების „ივერიის“, „თბილისისა“ და „კახეთის“ მოწყობა-გამშვენიერებაში, ბათუმისა და სოხუმის სასტუმროების განახლებაში. „რუსთაველის“ კინოთეატრის და გორის სტალინის სახლ-მუზეუმის მოსაპირკეთებელი სამუშაოებიც „ინტურისტსპეცრემმშენმა“ შეასრულა, მან თავისი წვლილი შეიტანა კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის მშენებლობაში.

როგორც ცნობილია, თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს შემატა მხატვრის სახლი, რომელმაც ყოფილი ინტურისტის შენობაში დაიდო ბინა. მისი სამოფენო დარბაზების მოწყობა-მოპირკეთება უაღრესად მოკლე დროში დამთავრდა. დარბაზების მოწყობასთან დაკავშირებული ძალზე შრომატევადი სამუშაოები შეასრულა ტრესტის იმ სამშენებლო სამმართველომ, რომლის უფროსია ვ. კიღურაძე, ხოლო მთავარი ინჟინერი ჯ. თაქთაქიშვილი გახლავთ, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობდა სამუშაოთა წარმოებას ინჟინერი ნ. ხარაძე. სამუშაოთა წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორია აგრეთვე ზ. კოტრიკაძე. მარჯვენას უქნებენ მღებავებს ა. სარსევანიძეს და ზ. შინალოვს, ფერგლებს ვ. აფციურს, ი. ბუკიას, რ. ოგანეზოვსა და ვ. ღარიბაშვილს, მებათქაშე დ. ჩერნიშსა და სხვებს.

ძნელია ჩამოთვალო ყველა ის ობიექტი, რომლებიც ტრესტის მუშაკთა მონაწილეობით აშენდა, მთავარია, რომ ისინი ყველა დავალებას მაღალ დონეზე და ვადამდე ასრულებდნენ, სრულ ანგარიშს უწევენ შემკვეთის თხოვნას და მის მადლობას იმსახურებენ.

ახლა მშენებელი-დიზაინერები ქობულეთის მაღლივი სასტუმროს მშენებლობაში და სასტუმრო „თბილისის“ რეკონსტრუქციაში მონაწილეობენ. ქალაქებში: მოსკოვში, ლენინგრადში, კიშინიოვში, ლვოვში ოლიმპიურ ობიექტებს აპირკეთებენ, დღენიადაგ ზრუნავენ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე, წარმოების კულტურის ამაღლებაზე, კადრების სწორად შერჩევა-განაწილებაზე, აქედანვე იქერენ თადარიგს, რათა მეთერთმეტე ხუთწლედში მუშაობის შედეგები უფრო დამაჯერებელი გახდეს. სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტრესტის ყველა უბნისა და სამმართველოს კოლექტივები მხოლოდ მოწონაციათა რიგებში არიან.

შ. ამაშუკელი.

ეს სპეციალობაც საჭიროა

ეროვნული

ინფორმაციები

ინფორმაციები

**ინფორმაციები

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

გვატყობინებენ საკლესისა და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები

ხალხური ტალანტების ასპარეზი

ბაისად ფართოდ აღინიშნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავი; ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ეძღვნება მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომლის პირველი ტური მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში მოეწყობა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

შემოქმედებითს დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კულტურის კლუბები, სახლებისა და სასახლეების თვითმოქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები, უმაღლესი სასწავლებლების და სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფების მხატვრული კოლექტივები...

მხატვრული თვითმოქმედების დღესასწაულმა ხელი უნდა შეუწყოს რეპერტუარის გამდიდრებას პარტიის, ლენინის, შრომის, ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი მაღალიდეური ნაწარმოებებით. იგი გამოავლენს ახალ ტალანტებს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა, დიდ როლს შეასრულებს თვითმოქმედი ხელოვნების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლების, მასში მშრომელთა მასების ფართო ჩაბმის საქმეში.

შეიქმნა ოლიმპიადის მომზადების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი ხელმძღვანელობს.

გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა, რომელზეც განიხილეს შემოქმედებითი ფორუმისთვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

სხდომაზე ინფორმაციები გააკეთეს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ, რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ო. ვ. თაქთაქიშვილმა, პროფსაბჭოს კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგემ ს. ს. ხოშტარიამ.

შეიქმნა ოლიმპიადის დირექცია და სამდივნო, ჩამოყალიბდა სექციები ჟანრების მიხედვით. დამტკიცდა მხატვრული თვითმოქმედების ამ დათვალიერებისათვის მზადების სამუშაო გეგმა. გადაწყდა, რომ ოლიმპიადის მეორე ტური გაიმართოს თბილისში 1981 წლის იანვარ-თებერვალში. (საქინფორმი).

• •

მასალების მიღება

ყველაზე თვალსაჩინო პროექტებისა და ამ პროექტებით მშენებლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის პრემიების მოსაპოვებლად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების კომისია იღებს მასალებს ყველაზე თვალსაჩინო პროექტებისა და ამ პროექტებით მშენებლობისათვის 1981 წლის პრემიების მოსაპოვებლად. მასალები მიიღება 1981 წლის 1 იანვრამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს პროექტების შემუშავების უშუალო მონაწილე მუშაკთა კოლექტივები:

საწარმოების (საწარმოთა ჯგუფების), შენობებისა და ნაგებობების და დაგეგმარების პროექტების, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანების ყველაზე თვალსაჩინო პროექტებისა და ამ პროექტებით მშენებლობისათვის:

მეცნიერული პრობლემებისა და მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევების დანერგვისათვის მშენებლობის, არქიტექტურის, საშენი მასალების, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის დარგში.

აღნიშნული ნაშრომები, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება პოვა, უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, უზრუნველყოფდეს შრომისა და წარმოების დიდად ეფექტიან ორგანიზაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, მასალატევადობისა და ღირებულების შემცირებას, ხარისხისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, მშენებლობაში ორგანიზაციის, ტექნოლოგიისა და მართვის სრულყოფას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშუშევრების ლენინური და სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად ერთდროული წარდგენა დაუშვებელია.

კოლექტივების წარდგენასა და მასალების მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა მიმართოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების კომისიას მისამართით: 103828, მოსკოვი კ-9, მარქსის პროსპექტი, 12 (სსრ კავშირის სახმშენი), ტელეფონები ცნობებისათვის: 292-62-49, 292-61-10.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ ნაშრომების მიღება 1981 წლის პრემიების მოსაპოვებლად იწარმოებს 1980 წლის 1 სექტემბრამდე ახალი მისამართით: **380008, თბილისი, რუსთაველის გამზირი, 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ტელეფონი: 98-88-72.**

„განათლება და განიარაღება“

პარიზი. „განათლება და განიარაღება“ — ასეთია თემა მსოფლიო კონგრესისა, რომელიც დღეს იუნესკოს პარიზის შტაბ-ბინაში გაიხსნა და ეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების X სპეციალური სესიის გადაწყვეტილებით. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობს განათლების დარგის, განიარაღების პრობლემების დაახლოებით 500 თვალსაჩინო სპეციალისტი, მათ შორის სსრ კავშირის წარმომადგენელნი.

კონგრესის მონაწილენი ერთმანეთს გაუზიარებენ აზრს განათლების პრობლემებზე, რომლებიც ხელი უნდა შეუწყოს განიარაღებას. განიხილავენ აგრეთვე საკითხებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენების შესახებ განათლების ისეთი სისტემის შექმნისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრესს განიარაღების საქმეში. კონგრესის გახსნაზე გამოვიდა იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგილე ფედერიკო მაიორი, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ იუნესკოს თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია საზოგადებრივი ბინა, მეცნიერება და კულტურის მოღვაწეების მობილიზაცია მშვიდობისა და განიარაღებისათვის საბრძოლველად. განათლება, თქვა მან, ეფექტიანი საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანთა აღზრდას მშვიდობისა და განიარაღების სულისკვეთებით.

კონგრესის საბჭოთა მონაწილენი, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, მოსკოვის უნივერსიტეტის პრორექტორმა ვ. ი. ტროპინმა, ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ მის მუშაობაში. საერთაშორისო ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით განიარაღების პრობლემას ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. განიარაღების იდეის პროპაგანდა ყველა საშუალებით, კერძოდ განათლების გზით, დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანაა. მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის ბრძოლის იდეები საბჭოთა კავშირში მთელი აღმზრდელობითი მუშაობის უმნიშვნელოვანესი ასპექტებია, ხაზი გაუსვა მან.

კანონიერი სიამაყე

ბუდაპეშტი, 11 ივნისი. დღეს უნგრეთის ცენტრალური გაზეთები „თვალსაჩინო ადგილებზე დიდი სათაურებით აქვეყნებენ ცნობას იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის მთავრობის საპატიო ჯილდოები გადასცა საერთაშორისო კოსმოსური ეკიპაჟის წევრებს ვ. ნ. კუბასოვსა და პირველ უნგრელ კოსმონავტს ბ. ფარკაშს.

გაზეთები აქვეყნებენ ლ. ი ბრეჟნევის გამოსვლას ჯილდოების გადაცემის დროს და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა და უნგრელი კოსმონავტების ერთობლივი ფრენა საბჭოთა კავშირისა და სახალხო უნგრეთის დიდი მეგობრობისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის ორგანული ნაწილია.

როგორც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო „ნეფსაბადშაგი“ აღნიშნავს, საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საბჭოთა და უნგრელი კოსმონავტები, ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე აგებული „ინტერკოსმოსის“ პროგრამის განხორციელებაში.

ვამაყობთ, წერს გაზეთი, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს კოსმოსური კვლევის პროგრამის რეალიზაციაში, რომლის ნაყოფი როგორც სოციალისტური სახელმწიფოების, ისე მთელი კაცობრიობის კუთვნილება ხდება.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

11 ივნისი

● **ულან-ბატორი. აქ დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების მოგზაურობის ბიუროთა წარმომადგენლების მორიგი თათბირი. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაცია გასულ წელს სოციალისტურ ქვეყნებში ტურიზმის განვითარების შესახებ და განიხილეს მისი წლევანდელი პერსპექტივები.**

● **ლონდონი. ინგლისის დიდი ნავსადგურის საუტჰემპტონის 1600-ზე მეტი დოკერი 24 საათით გაიფიცა. ისინი პროტესტს აცხადებენ ადმინისტრაციის მიერ შრომითი შეთანხმებების დარღვევის წინააღმდეგ. გაფიცვის შედეგად ნავსადგურის მუშაობა მთლიანად შეწყვეტილია.**

● **ისლამაბადი. სულ უფრო მზარდი სამხედრო ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება პაკისტანის ეკონომიკას. როგორც გაზეთი „პაკისტან ტაიმსი“ იუწყება, ქვეყანამ კვლავ თხოვა დასავლეთის სახელმწიფოებს მისცენ მომდინარე წელს კრედიტები კოლოსალური თანხის — მილიარდზე მეტი ამერიკული დოლარის ოდენობით.**

● **ნიუ-იორკი. შეერთებული შტატები ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა უცხო სახელმწიფოების მისთვის არასასურველ მთავრობათა წინააღმდეგ. ამ საქმიანობის ერთ-ერთი ობიექტია იამაიკის მთავრობა, სადაც აქტიურად „მუშაობს“ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო.**

● **ჯაკარტა. 50 პროცენტითა და მეტად გადიდდა ინდონეზიაში მიმდინარე წლის პირველი მაისიდან ელექტროენერგიით სარგებლობის ტარიფები. მკვეთრად გაიზარდა აგრეთვე საწვავისა და სხვა ნავთობპროდუქტების ღირებულება.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების კომისიის მისამართი: 103828, მოსკოვი კ-9, მარქსის პროსპექტი, 12 (სსრ კავშირის სახმშენი), ტელეფონები ცნობებისათვის: 292-62-49, 292-61-10.

ევროვნული განვითარების მთავარი წყარო

ალჟირი. 11 ივნისი. ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალური მდივანი შადლი ბენჯედიდი გამოვიდა აქ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ნავთობის მინისტრების კონფერენციაზე.

შეეხო რა ენერგეტიკული რესურსების საკითხს, მან აღნიშნა, რომ ყოველად დაუშვებელია მათი ძარცვა, რადგან ისინი შეადგენენ ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების ეროვნული განვითარებისა და ეკონომიკურ საჭიროებათა დაკმაყოფილების მთავარ წყაროს. როგორც ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა თქვა, „ნავთობის ფასების გადასინჯვა სრულიადაც არ არის მსოფლიოში ინფლაციისა და სხვა პრობლემების მიზეზი, რომლებსაც კაპიტალისტური ქვეყნები აწყდებიან. მთავარი მიზეზია მოუწესრიგებლობა თვით მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში“.

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა დამსწრეთ მოუწოდა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების სოლიდარობისათვის, რათა დაიცვან თავიანთი ენერგეტიკული სიმდიდრენი როგორც მწარმოებლების, ისე მომხმარებლების ინტერესებისათვის. „ნავთობი, — თქვა მან, — უნდა ემსახურებოდეს მთელ კაცობრიობას“.

თავის გამოსვლაში შადლი ბენჯედიდმა ყურადღება დაუთმო ნავთობის წარმოებისა და ექსპორტის დონის საკითხს. ამასთან დაკავშირებით მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის ნამატი ემსახურება მხოლოდ იმპერიალისტური მონოპოლიების ინტერესებს, რომელთა პოლიტიკა ეწინააღმდეგება ნავთობის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესებს“.

შადლი ბენჯედიდმა აღნიშნა, თუ რა დიდ როლს ასრულებს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის საქმეში, და მოუწოდა მათ ამ სახელმწიფოებთან სოლიდარობისათვის.

დასასრულ ალჟირის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საჭიროა გადაისინჯოს გაზის ფასები.

ბეგინი გააფთრებულია

ბეირუთი. მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის სამ პალესტინელ მერზე დანაშაულებრივ თავდასხმასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ ისრაელის დაგმობამ ნამდვილი გააფთრება გამოიწვია ტელ-ავივის მმართველ წრეებში. ისრაელის პრემიერმა ბეგინმა მინისტრთა კაბინეტის სხდომის შემდეგ, რომელზეც ამ საკითხს იხილავდნენ, ოქმის დებულებების საწინააღმდეგოდ პირადად წაუკითხა ჟურნალისტებს მთავრობის განცხადება, რომელშიც თავხედური და მედიდური ტონით ნათქვამია, რომ მთავრობა უარს ამბობს ცნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც გმობს ისრაელის ხელისუფლებას იმის გამო, რომ უნარი არ შესწევთ უზრუნველყონ ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის ჯეროვანი უშიშროება.

ბეგინის განსაკუთრებული გაფთრებს გამოიწვია რეზოლუციის იმ მოთხოვნამ, რომ ისრაელმა უნდა დატოვოს მის მიერ მიტაცებული ყველა ტერიტორია, მათ შორის იერუსალიმის არაბული ნაწილი. განზრახ დაამახინჯა რა ჟეშმარიტება, მან განაცხადა, თითქოს ასეთი მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდეს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციას. თვალთმაქცობაში ბეგინმა თავის თავს გადააჭარბა, როცა იშელეიბდა „საერთაშორისო მორალს“ და რეზოლუციას უწოდებდა „სამართლიანობის ხელყოფას“. მან გამომწვევად განაცხადა, რომ ისრაელი არ დაუბრუნდება 1967 წლის საზღვრებს და შეინარჩუნებს იერუსალიმს როგორც თავის „ერთიან და განუყოფელ დედაქალაქს“.

ბინძური საქმიანობა აფრიკაში

ლაგოსი. ზანგთა ქალაქ ვარში აღმოაჩინეს რეგისტრაციაში გაუტარებელი კავშირის პუნქტი, რომელსაც უცხოეთის ერთ-ერთი ნავთობის კომპანიის ნიღბით არალეგალურად იყენებდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. ინფორმაციას იქიდან პირდაპირ ნიუ-იორკში გადასცემდნენ.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ კომპანიების ნიღბად გამოყენების ფაქტი არცთუ ცოტაა. ამას აღნიშნავს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი ფ. ეიჯი წიგნში „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბინძური მუშაობა აფრიკაში“. ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სულ ცოტა 300 კადრის აგენტი, ნათქვამია წიგნში, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა აფრიკაში, მოქმედებს საელჩოების, საკონსულო დაწესებულებების, სავაჭრო ფირმებისა და სამრეწველო კორპორაციების ნიღბით.

მაგალითად, კომპანიებს „კოლტ ფაიერარმსს“, „ვინჩესტერ არმისს“, „სპეის რისერჩ კორპორეიშნს“ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო იყენებდა იმისათვის, რომ ძირგამომთხრელი საქმიანობა ეწარმოებინა სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ, სხვადასხვა სახეობის იარაღი მიეწოდებინა სამხრეთ აფრიკელი რასისტებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციების მიუხედავად.

აფრიკაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირგამომთხრელ საქმიანობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში შეღწევას საზოგადოებრივი აზრის დამუშავებისათვის. დასავლეთის, აფრიკის, არაბეთის და აზიის ზოგიერთი გაზეთი, აღნიშნავს ფ. ეიჯი, ან მთლიანად ეკუთვნოდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, ანდა იგი აფინანსებდა მათ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობა

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობამ 1979 წლის 31 დეკემბერს 61 მილიონ 439 ათასს მიაღწია.

თინათინ ვასილის ასული წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველმა საზოგადოებრივობამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა თინათინ ვასილის ასული წერეთელი — თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მისი სახით ქართველმა საზოგადოებამ დაკარგა დიდი შემოქმედებითი ძალის მკვლევარი, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდობის გულსხმიერი აღმზრდელი.

თ. ვ. წერეთელი დაიბადა 1908 წელს ჭიათურის ზონის სოფელ ცხრუკვეთში და იზრდებოდა ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ წერეთლის ოჯახში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შედის თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე. საფუძველი ეჩინა იურიდიულ-ფილოსოფიურ განათლებას, სამართლის სხვადასხვა დარგის ღრმა ცოდნას იგი ფართოდ იყენებდა თავის მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

თ. ვ. წერეთლის მეცნიერული ინტერესების მთავარი სფერო გახდა სისხლის სამართალი. აწორედ ამ დარგში შექმნა მან ფუნდამენტური ნაშრომი „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“, რომელმაც ფართოდ გაუთქვა სახელი ქართულ სამართალმცოდნეობას როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. საქართველოს სამართლის მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა მისი მონოგრაფია „მოძღვრება დანაშაულის შესახებ“. თ. ვ. წერეთლის მეცნიერულ ნაშრომებზე იზრდებოდა მეცნიერი იურისტების ახალი თაობა.

საბჭოთა და საზღვარგარეთის კანონმდებლობის ზედმიწევნით ცოდნა, იურიდიული ანალიზის მეთოდების ფლობა, სასამართლო პრაქტიკის არსში ღრმად ჩაწვდომისა და მაღალ მეცნიერულ დონეზე მისი განზოგადების უნარი საშუალებას აძლევდა თ. ვ. წერეთელს საფუძვლიანად დაეკავშირებინა თავისი სამართლებრივი შეხედულებანი პრაქტიკულ დასკვნებთან. თ. ვ. წერეთელი შეუნელებელ ინტერესს იჩენდა თანამედროვეობის მწვავე სამართლებრივი პრობლემების ადმი. იგი მონაწილეობდა იურისტთა ბევრ საერთაშორისო ფორუმში. 1975 წელს მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას სისხლის სამართლისადმი მიძღვნილ ვარშავა-პოპოვის საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

ე. შეევარდნაძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, ა. ინაური, გ. კოლგინი, ო. კულიშვილი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, ნ. ჭითანავა, ს. ხაბეიშვილი, გ. ადლეიბა, თ. მოსაშვილი, ვ. კაკუნიძე, ფ. სანაკოევი, ძ. შარტავა, ე. ხარაძე, ი. გვერდწითელი, ს. დურმიშიძე, ა. ფრანგიშვილი, გ. ჯიბლაძე, ე. კუდრიავცევი, ე. სეხნიაშვილი, ნ. საჯაია, დ. ჩხეიკვიშვილი, ა. ბარაბაძე, გ. გვეტაძე, ა. ქარანაძე, ა. შუშანაშვილი, გ. ტყეშელიაძე, ვ. კეშელავა, ა. გუნია, ს. ჯორბენაძე, ნ. ფვანია, თ. შავგულიძე, ვ. ედიშერაშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის კოლეგიის წევრი

თინათინ ვასილის ასული წერეთელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელგინი

ბინძური საქმიანობა

ეროვნული

ბელგინი

ბინძური

ეროვნული

ბინძური

ეროვნული

ბინძური

ეროვნული

კურორტი, დამსვენებელი, მომსახურება

აჭარის ზღვისპირეთს უკვე დაეტყო დამსვენებელთა და ექსკურსანტთა მოზღვავება, დღითი დღე მატულობს სტუმართა რიცხვი, დაქირაულ საექსკურსიო ავტობუსები. წლეულს აჭარაში სამასათასამდე დამსვენებელსა და ექსკურსანტს მოელიან. აქ ისინი გაიკაუებენ ორგანიზმს, დაათვალიერებენ ჩვენს თვალწარმტაც სოფლებსა და ქალაქებს, მუზეუმებს, დელფინარიუმს, ბოტანიკურ ბაღსა და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ამდენი სტუმრის მიღება და გამასპინძლება არცთუ ცოტა სიძნელეებთან არის დაკავშირებული. როგორ მივიღებთ მათ, როგორ სამედიცინო, სავაჭრო და საექსკურსიო მომსახურებას გავუწევთ — აი კითხვები, რომლითაც მივმართეთ პროფკავშირთა კურორტების აჭარის საოლქო საბჭოს და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელებს.

ლაჭვარდოვანი ზღვა გვიხმობს

„კომუნისტის" ორი ინტერვიუ

ი. ჯაში — *პროფკავშირთა კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე:*

— თავისი მნიშვნელობით 1980 წლის საკურორტო სეზონი განსაკუთრებულია. იგი მეათე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი და პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების წელია. ბუნებრივია, ეს კურორტთა მართვის საოლქო საბჭოში შემავალ გამაჯანსაღებელ კერებსაც დიდ ამოცანებს უსახავს. წლეულს 80 ათასამდე დამსვენებელს ველოდებთით, საამისოდ სათანადოდაც მოვემზადეთ, განხორციელდა სამკურნალო დიაგნოსტიკური და გამაჯანსაღებელი პროფილაქტიკური ღონისძიებები, დაინერგა ახალი სამკურნალო მეთოდები, მათ შორის ულტრაბგერით, ანგბადის კოქტეილით, ანოდური გალვანიზაციით მკურნალობა. ფართოდ ვიყენებთ ციტოსკოპიას, უროგრაფიას, სალპინოგრაფიას. მაღალი სიხშირის ელექტრული ფიზიოთერაპიული აპარატების გამოყენებით ვმკურნალობთ პერიფერიულ ნერვულ დაავადებებს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საწოლთა რაოდენობა, მთელ რიგ ჯანმრთელობის კერებში განხორციელდა კაპიტალური რემონტი. სანატორიუმ „აჭარაში", პანსიონატ „ქარიშხალაში" მთლიანად შეიცვალეთ ავეჯი. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ტექნოლოგიური დანადგარებით კვების ბლოკების აღჭურვას. მზრუნველობას არ ვაკლებთ მთის კურორტ ბეშუმს, დავამთავრეთ კლუბ-სასადილოს, აბანოსა და წყალსადენის მშენებლობა, ქობულეთის ზღვისპირა პარკისა და პლაჟის კეთილმოწყობას ასითასობით მანეთი მოხმარდა.

კურორტთა მართვის საბჭოს წინაშე ბევრი გადასაწყვეტი პრობლემა დგას. რეალიზებული საგზურებით არ ჩამოდის ყველა დამსვენებელი, რაც უარყოფითად მოქმედებს გეგმის შესრულებაზე. მაგალითად, წლეულს პირველ კვარტალში დაგეგმილზე 1.900 კაცით ნაკლები ჩამოვიდა. ზაფხულის პერიოდში მოუგვარებელია სამგზავრო ბილეთებით დამსვენებელთა უზრუნველყოფა, მათ ხანგრძლივად უხდებათ საბილეთო სალაროებთან რიგში დგომა.

საყვედურს იმსახურებენ მშენებლები. შარშან ხარვეზებით გადაეცა საექსპლოატაციოდ 16-სართულიანი პანსიონატის „ჰორიზონტის" მეორე კორპუსი, რამაც არა მარტო დიდი მატერიალური ზარალი მოგვაყენა, არამედ გაცემული საგზურების გაუქმებაც კი გამოიწვია. საკვირველი ის არის, რომ მშენებლები არც ამქამად ჩქარობენ. დასვენების სეზონი დადგა, „ჰორიზონტის" მეორე კორპუსი კი მზად არ არის.

ი. ხარაზი — *აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრი:*

—საკურორტო და ტურისტული სეზონი ვაჭრობის სამინისტროს მუშაკებს საზრუნავს მატებს. უმასპინძლო ასიათასობით სტუმარს, ადვილი როდია. ჩვენი მთავარი მიზანია ყოველი ადამიანი შინ კმაყოფილი დაბრუნდეს, აჭარაზე კარგი მოგონებანი დარჩეს. ამისათვის საჭიროა ყოველმა სტუმარმა თავისუფალი დრო სასიამოვნო გარემოში გაატაროს. სეზონისათვის მზადებას ახალი წლის დასაწყისიდანვე შევუდექით, შევაკეთეთ თითქმის ყველა სავაჭრო ობიექტი, ბათუმის ზღვისპირა პარკში მთავრდება არქიტექტურულად მიმზიდველი ორი პავილიონის მშენებლობა, ქობულეთის ცენტრალურ უნივერმაღს შეემატა 300 კვადრატული მეტრი ფართობი, სადაც ფართო ასორტიმენტის საკურორტო დანიშნულების ნაწარმი იყიდება. ზღვისპირა პარკებსა და სკვერებში მუდამ იქნება გამაგრილებელი წყლები, ნაყინი, სამაჭარლამო ნაწარმი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დამსვენებელთა დიეტურ კვებას. ამ მიზნით ბათუმსა და ქობულეთს შეემატა დიეტური სასადილოები.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ გამოფენა-დატარებით ვაჭრობას, იგი მოსახერხებელია მომხმარებლისათვის. დამსვენებელთა თავშეყრის ადგილებში ორგანიზებულია სუვენირებით ვაჭრობა, პლაჟების ზონაში დავამონტაჟეთ ათი ფინური ტიპის მობრავი სამზარეულო. პლაჟებზე დატარებით გაიყიდება ნაყინი.

სავაჭრო ქსელში ახალი, პროგრესული მეთოდების დანერგვამ ამამაღლა მომსახურების კულტურა. მარტო ის რა ბევრისმთქმელია, რომ საქონლებრუნვის საერთო მოცულობაში თვითმომსახურებით გაყიდული საქონლის ხვედრითმა წილმა 56 პროცენტი შეადგინა, ახალი კადრების აღზრდამ, დაოსტატებამ, მომხმარებელთა სურვილების გათვალისწინებით მომარაგების გაუმჯობესებამ განაპირობა გეგმების წარმატებით შესრულება: 5 თვის დავალება გადაჭარბებითაა განაღდებული, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მომხმარებელს მიეყიდა 2.300 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ზრდის ტემპმა 7,3 პროცენტი შეადგინა. ეს ციფრები იმაზე მეტყველებს, რომ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა ეკონომიკური მაჩვენებლები, ამაღლდა ვაჭრობის კულტურა.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ დაზღვეული არ ვართ ნაკლოვანებებისაგან. ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გაფორმებული ყველა ობიექტი, სპეციალისტთა რაოდენობით არ გვაქვს საკურორტო საქონელი, ზოგჯერ შეფერხებებია გამაგრილებელი წყლებით მომარაგებაში.

• • •

დამსვენებელთა მომსახურების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიქვთ აჭარკოოპკავშირსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს. პერიფერიებში გაიხსნა ბევრი სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტი. ავტოტურისტებისათვის ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა 200-ადგილიანი კემპინგი, ბათუმში რამდენიმე ასეთი ავტოსადგომია.

დიახ, სტუმართა უკეთ მომსახურების მიზნით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ საზრუნავი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. დამსვენებლებს ერთი წუთითაც არ უნდა მოვაკლოთ ყურადღება, ამასთან არც ის უნდა დავავიწყდეს, რომ შარშან მომსახურებით უკმაყოფილო არაერთმა დამსვენებელმა დატოვა აქაურობა.

ქართველ კაცს ოდითგანვე მოსდგამს სტუმარისადმი განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა. იყო გულისხმიერი მასპინძელი — ეს თითოეული ჩვენგანის კეთილშობილური მოვალეობაა.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

თბილისში საგასტროლოდ არის სახელგანთქმული არგენტინელი მომღერალი და კონომსახიობი ლოლიტა ტორესი. მის ხელოვნებას კარგად იცნობს ქართველი კონომაყურებელი.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში მომღერალი ჩვეული ოსტატობით ასრულებს ახალ საკონცერტო პროგრამას. **სურათზე:** გამოდის ლოლიტა ტორესი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მასპინძელია ტურბაზა

ზაფხულის დადგომისთანავე უამრავმა ტურისტმა მოაშურა შავიზღვისპირეთს. აჭარის ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებები ზამთრიდანვე ემზადებოდნენ ტურისტების მისაღებად. ამ ხნის მანძილზე მრავალი ტურბაზა თუ დაუხმარე ნაგებობა კაპიტალურად შეაკეთეს, მოაწესრიგეს საექსკურსიო ადგილები. ტურისტული სეზონის წინ, ჩვეულებისამებრ, მოეწყო დათვალიერება, რომლის შედეგად გამოვლენილი ესა თუ ის ნაკლი გამოსწორდა.

აჭარაში ტურისტთა კონტინგენტის ზრდამ 1974 წლიდან მომსახურების ახალი ფორმა ჩამოაყალიბა. ეს არის დაქირავებული ტურბაზები, რაც ადგილობრივ მცხოვრებთა ბინების ან ოთახების ორგანიზებულ დაქირავებას გულისხმობს. ამჟამად აჭარაში 9 ასეთი დაქირავებული ტურბაზაა, რომლებშიც შარშან 40.000-ის ნაცვლად 48.000 ტურისტი მიიღეს. უნდა ითქვას, რომ უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. მართლაცდა, მშვენივრად მოწყობილი, ნათელი 3-4-ადგილიანი ოთახები, სამზარეულო თუ სხვა დამხმარე ნაგებობები საკმაოდ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, ადამიანის ნორმალურ დასვენებას რომ ესაჭიროება.

აღნიშნული ცხრა დაქირავებული ტურბაზიდან ხუთს (მახინჯაურის, ჩაქვის, განთიადის, ბუკნარისა და ქობულეთის) საკუთარი სასადილო დარბაზი აქვს, სამი ტურბაზის (ბათუმი — 1, ბათუმი — 2 და ბათუმი — 3) სტუმრებს რესტორანი „მესხეთი" მასპინძლობს, ხოლო მწვანე კონცხის დაქირავებულ ტურბაზას, სანამ მისი სასადილო დარბაზის მშენებლობა დასრულდება, იჯარით აღებული რესტორანი ემსახურება.

დიდი მოცულობის დაქირავებულ ტურბაზებს საკუთარი პლაჟი აქვთ, სადაც მოწესრიგებულია საშხაპე თუ გასაქირავებელი პუნქტები, მუშაობს სამაშველო სამსახური.

დაქირავებული ტურბაზის სტუმრებს სთავაზობენ ექსკურსიებს, იკითხება საინტერესო ლექციები, ემსახურება რომელიმე ორგანიზაციის კუთვნილი კინოდარბაზი, საცეკვაო თუ სპორტული მოედნები, ზოგიერთ მათგანს საკუთარი ბიბლიოთეკაც აქვს.

1979 წელს აჭარა გეგმით გათვალისწინებული 135.500-ის ნაცვლად 154.600 ტურისტს მოემსახურა, რაც ტურბაზებისა და საექსკურსიო ბიუროების კარგ მუშაობაზე მეტყველებს. ტურისტთა უკეთ მომსახურების მიზნით გაშლილ სოციალურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევენ ტურბაზა „მესხეთის", „ბათუმი I-ის", „ბუკნარის", „განთიადის" კოლექტივები, რომლებიც ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების სიგელებით არიან დაჯილდოებული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ტურბაზა „მესხეთის" კოლექტივის წარმატებები. ციხისძირის, მწვანე კონცხის, ჩაქვის ანალოგიურ ბაზებთან შედარებით მას მუშაობის უკეთესი პირობები აქვს — ნათელი ოთახები, ვრცელი სასადილო და სუფთა სამზარეულო, ახლოა პლაჟი. კაპიტალური რემონტის დროული დამთავრების შედეგად ტურბაზის დირექციამ უკვე შეძლო გეგმის გადაჭარბებით ასობით ტურისტს მომსახურებოდა.

ორიოდე სიტყვით ნაკლზე, რომელიც მაინც შეიმჩნევა აჭარის ტურისტული და საექსკურსიო საბჭოს მუშაობაში.

ტურბაზები ცუდად მარაგდება ხილ-ბოსტნეულით, განსაკუთრებით მწვანილით, რძის პროდუქტებით. ხშირად არ არის ხელსახოცები, საპონი. ზოგიერთ ტურბაზაში მოძველებულია ინვენტარი. ქობულეთის საექსკურსიო ბიუროს შენობა ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი თანამშრომლები ამ პირობებშიც ყოველნაირად ცდილობენ კარგად მოემსახურონ სტუმრებს.

შეფერხებებია სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში, ზოგიერთ ტურბაზაში კულტმასობრივი მუშაობა არ სცილდება კინოფილმის ჩვენებასა და ცეკვის საღამოებს.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს ჯეროვანი ყურადღება თუ მიექცევა, აჭარა კიდევ უფრო ღირსეულ მასპინძლობას გაუწევს მრავალრიცხოვან სტუმარს.

გ. კაკუაშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ზაფხულის საკურორტო სეზონის დაწყებასთან ერთად სულ უფრო ბევრი ექსკურსანტი მოდის აფხაზეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილას — სოხუმის ბოტანიკურ ბაღში.

მნახველები ინტერესით ათვალიერებენ ძვირფას სამეურნეო, დეკორატიულ და ეგზოტიკურ მცენარეებს, რომლებიც ბაღის ვრცელ ტერიტორიაზე ხარობს, ეცნობიან ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი სამეცნიერო ცენტრის შექმნის ისტორიას, ბოტანიკური ბაღის თანამშრომლების კვლევითს მუშაობას.

სურათზე: ექსკურსანტები სოხუმის ბოტანიკურ ბაღში.

ი. ჰოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინფორმაცია — 80

ჯილდოები — ომის ვეტერან მწერლებს

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვების XXXV წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის პრეზიდიუმმა სამახსოვრო მედლებით დააჯილდოვა ომის მონაწილე ქართველი მწერლების ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არიან ალექსანდრე გომიაშვილი, ვახტანგ გორგანელი, აკაკი გეწაძე, რევაზ მარგიანი, გიორგი ნატროშვილი და გიორგი ციციშვილი.

ლიტერატორებს სიპატიო ჯილდოები გადასცა საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა, გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ჯანჯღავამ. (საქინფორმი).

ქვტოტრასები მთებისაკენ მიემართება

ახალშა 13-კილომეტრიანმა ავტომაგისტრალმა დააკავშირა ქალაქ ჭიათურის ზონის მთის სოფლები სვირი და გეზრული სოფელ თვალუეთთან. ამიერიდან ახალი საავტომობილო გზების სიგრძე, რომლებიც შორეულ მთის სოფლებს აკავშირებს, 80 კილომეტრს აღემატება.

ახალი გზების გაყვანასთან ერთად დიდი სამუშაოები წარმოებს უკვე არსებული გზების რემონტისა და კეთილმოწყობისათვის, მთის მდინარეებზე იგება ხიდები. მოასფალტებული და გრუნტის გზების გასწვრივ უკანასკნელ დროს დარგულია 260 ათასი დეკორატიული ხე და ხეხილი. უკანასკნელ ოთხ წელიწად-ნახევარში ქალაქ ჭიათურის ზონაში გზების მშენებლობაზე დაიხარჯა ორი მილიონ ხუთასი ათასი მანეთი. (საქინფორმი).

ზველი გადარჩა

წყალტუბო. (*საკ. კორ. დ. გედენიძე*). იმ დღეს მდინარე რიონი აბობოქრდა, გამუდმებული კოკისპირული წვიმების შედეგად კალაპოტს გასცდა და ახლო მიდამოებს წალეკვის საფრთხე შეუქმნა.

სოფელ ოფურჩხეთში, ჩაის ფაბრიკის მახლობლად, ორი ძმა — გურამ და ამირან ახალაძეები მდინარის ტალღებს გაოცებული შესცქეროდნენ, ის-ის იყო წასვლა დააპირეს, რომ ერთ-ერთმა მათგანმა წყალში ცხოველი შენიშნა.

—ბიჭოს, შველია, თუ არ მივეშველეთ, დაიღუპება! — თქვა გურამმა და მყისვე მდინარეში გადაეშვა. ქანცგაწყვეტილ ცხოველს შებრძოლების თავი აღარ ჰქონდა. გურამმა შველთან ახლოს მიცურა და ნაპირზე ამოიყვანა.

იმავე დღეს ამირან ახალაძემ შვილს ამბავი ქუთაისის ნადირობის ინსპექციის უფროსს გურამ გეგეშიძეს და მუხნარის ნაკრძალში გაშვებული შველ-ირემების ქომაგს დიმიტრი ძერაის აცნობა. მათაც არ დააყოვნეს, გადარჩენილი შველი მუხნარის ტყეში გადაიყვანეს, სადაც 30-მდე შველ-ირემი თავს ლაღად გრძნობს.

გაიხსნა ახალი მაღაზია

სამტრედია. (*„კომუნისტის" საკ. კორ*). ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილას ქალაქჭიშრობის სამტრედიის განყოფილებამ გახსნა ახალი მაღაზია. იგი სამამულო ომის ინვალიდებისათვის არის განკუთვნილი. აქ იყიდება როგორც სასურსათო, ისე სამრეწველო საქონელი.

აღსანიშნავია, რომ მაღაზიის მუშაკები ბინაზეც ემსახურებიან სამამულო ომის იმ ინვალიდებს, რომლებსაც სიარული უჭირთ.

იშვიათი ნაკოვნი

ბრინჯაოს ხანის ცული!

ლანჩხუთი. (*საკ. კორ. ბ. ჩხაიძე*). ქ. ლანჩხუთში, კლარა ცეტკინის ქუჩაზე მცხოვრებმა ჯამბულ მორჩილაძემ საკარმიდამო ნაკვეთში ხე ამოთხარა და ამონთხარ ორმოში იპოვა ბრინჯაოს საკმაოდ მოზრდილი ცული. ნაპოვნი გადასცეს ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

სპეციალისტების აზრით, ეს ცული ჰგავს ურეკის განძში აღმოჩენილ ცულების ერთ სახეობას, რომელიც მიჩნეულია გვიანი ბრინჯაოს (ძვ. წ. XIV-XII ს.) ხანაში კოლხეთში ფართოდ გავრცელებული ცულების წინამორბედად.

ინფორმაცია — 80

ტელევიზია

12 ივნისი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია" (მ.), 17.00 — აბიბურიეფგოთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.). 17.35 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას (ფ.), 18.05 — პოლონური საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეგია". მესამე სერია, (ქართულ ენაზე), 19.05 — „ულენიერი ბავშვები". ალიოშა ჯაფარიძე (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" (ფ.), 20.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.50 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ნუ ესვრით თეთრ გედებს". პირველი სერია. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — კონცერტი, 23.15 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.00 — მხატვრული ფილმი „ალექსანდრე პარხომენკო", 18.30 — განცხადებები (ფ.). 18.35 — „თვალთაი" — საგელევიზიო ჟურნალი (ფ.), 19.00 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბოგზაურობა არხეზეშში" (ფ.).

თეატრი

12 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ბოსკა;** რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **სიუჟეტული თეატრალური;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მე, ცოლი და სიდედრი;** რუსთავის სახელმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლში) — **ზურიკელა;** ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზში — არგენტინელი მომღერლის **ლოლიტა ტორესის** კონცერტი.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ლენინური თეორიის პრობლემების — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, აზგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მუშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალები — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:
მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. სოფარულის, 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უი 08043

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სამთო ფაკულტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის პროფესორი

ელიზბარ ონისიმეს ძე მინდელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

დავით ალექსანდრეს ძე ჩიკვაიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ

თანაკურსელთა შეხვედრა უნივერსიტეტში

ჩემო ძვირფასო თანაკურსელებო, ჩვენმა საყვარელმა მასწავლებლებმა რაც გვიანდერძეს, ხომ პირნათლად ვასრულებთ, არ ვიშურებთ ძალ-ღონეს ხალხის სამსახურისათვის, ვიხდით მამულიშვილურ ვალს, — პირველი ამბობს სიტყვას ექიმი თამარ ვაჩნაძე, ერთი იმათგანი, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პირველი კურსდამთავრებულია.

...მაშინ ეს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ბოლო კურსი. ამ ჯგუფის გამოშვების შემდეგ უნივერსიტეტში თავისი არსებობა შეწყვიტა სამკურნალო ფაკულტეტმა და ახალგაზრდა რესპუბლიკამ ახლად დაარსებულ სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო სამედიცინო კადრების მომზადება.

აი სწორედ ამ პირველ ექიმებს, ამ კურსდამთავრებულთ მშობლიურმა უნივერსიტეტმა საექიმო მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე მოუხმო.

აქ არიან ქართული მედიცინის ღვაწლმოსილი მუშაკები, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენოსნები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმები, პროფესორები.. პირველ კურსდამთავრებული ექიმებიდან დღეს, სამწუხაროდ, დიდმა უმრავლესობამ ვეღარ გამოაღწია დროთა ქარიშხალს. სულ 26 თანაკურსელი შემოგვრჩა: სოკრატ არშბა, მიხეილ სრესელი, სერგო ნარიკაშვილი, ალექსანდრე ბაკურაძე, ვანო ყიფიანი, ტიტე ბარამიძე, რაისა ქარცივაძე, ვარლამ გიორგაძე, გიორგი ადამია, ზაქარია ზამბახიძე, ირაკლი ჩიგოგიძე, არჩილ იანგარაშვილი, ქეთევან ჭეიშვილი, ქეთევან ყენტი და სხვები.

შეხვედრა გახსნა მოზეიმეთა თანაკურსელმა ბორის ანთელიძემ. იგი იგონებს წარსულს, სტუდენტობას, აღმზრდელებს.

საზეიმო შეხვედრის პრეზიდიუმში იყო ქართული უნივერსიტეტის ბერმუხა აკაკი შანიძე — მათი ყოფილი მასწავლებელი. მან ამაღელვებელი სიტყვით მიმართა „გუშინდელ" სტუდენტებს და დღევანდელ ღვაწლმოსილ ექიმებს.

დამსწრეთ მიესალმნენ მოწვეული სტუმრები, პროფესორები ვ. ანთაძე და ა. ჯორბენაძე.

გამოცდილ მკურნალებს ყველაფერი აინტერესებთ, ახარებთ რესპუბლიკის მიღწევები, სწუხან ნაკლოვანებებზე, აღელვებთ თითოეული მაშვრალის ბედი, ჯანმრთელობა, დღევანდელობა, მომავალი... ექიმთა ყველაზე მთავარი მიზანი ხომ ის არის, უმჯობესად, სიცოცხლე გაუხანგრძლივონ, მხარში ამოუდგნენ ადამიანებს, იცხოვრონ და იარსებონ ადამიანებისათვის.

ი. ჯაჰვაძე.

მკითხველი ფინადადებას აყენებს

სოკო: როგორ ვიცნობთ მას?

ჩემი აზრით, იმისათვის, რომ ჩვენმა სოკოს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოშორდეს შიშისმომგვრელი საიდუმლოების საბურველი და ქართველი კაცის ულუფაში ღირსეული ადგილი დაიკავოს, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და, ამასთან, დიდი ტირაჟით გამოიცეს წიგნი — ცნობარი, რომელშიც სამეცნიერო-პოპულარული ენით აღწერილი იქნებოდა სოკოს ზრდა-განვითარების სტადიები და თავისებურებანი, ფერადი ფოტოებისა თუ ნახატების სახით მოცემული იქნებოდა ჩვენში გავრცელებული სამეფო, პირობითად სამეფელი და შხამიანი სოკოების ყველა სახეობანი, შესაბამისი აღწერილობებით. კერძოდ, თუ როგორია ამა თუ იმ სოკოს გარეგნული ფორმა და ფერი, რომელ ტყეში (ფოთლოვანი, წიწვოვანი, შერეული) და წლის რომელ პერიოდში გვხვდება, როგორ გამოიყენება საჭმელად. ამასთან, საჭიროა შემუშავდეს და მკაცრად დადგინდეს ქართული მიკოლოგიური ტერმინოლოგია, თვით სოკოთა სახელწოდებანი, რადგან ამ საქმეში, პირდაპირ უნდა ითქვას, სრული ქაოსია. აიღებ რუსულ-ქართულ ლექსიკონებს და ნახავ, რომ ერთი და იგივე სოკო სხვადასხვა სახელწოდებით არის წარმოდგენილი. ერთგან, მაგალითად: წერია „მანჭკორა", მეორეში — „მანჭკოლა", ზოგან „არყა-სოკო"(?) ან „ჯიმლა". კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა.

ჩანს, საჭირო იქნება საცნობარო წიგნში მოცემული იყოს სოკოთა როგორც ქართული, ისე რუსული სახელწოდებანიც და იქნებ — ლათინურიც. გარდა ამისა, აქვე უნდა იყოს სოკოს დამწნილების, დამუქუქების, გახმობის და ცალკეულ კერძთა დამზადების ყველა საჭირო რეცეპტური.

ალბათ, ასეთი წიგნის გამოცემის საქმე საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტმა უნდა ითავოს.

მანამდე კი, ვიდრე ასეთი წიგნი გამოჩნდებოდეს, ურიგო არ იქნება, ჟურნალი „საქართველოს ბუნება" იკისრებდეს ამ კეთილშობილურ მისიას, მოიზიდავდეს სოკოს ცნობილ სპეციალისტებს და ყოველ ნომერში მოათავსებდეს ორ-ორი სოკოს ფერად ილუსტრაციას სათანადო აღწერილობებით.

დ. გრიგოლაშვილი,

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ

სოკო რომ უაღრესად ყუთიანი და გემრიელი საჭმელია, ეს საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტია, და ამაზე იტყვას არ გავგრძელებ. მით უფრო, რომ მე სპეციალისტი სოკოთმცოდნე, ანუ მიკოლოგი არ გახლავართ. მაგრამ, როგორც სოკოსმოყვარულმა, გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ამ უკანასკნელ დრომდე სოკოს პროპაგანდა-პოპულარიზაციის საქმეს საქართველოში თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ამა, გადასინჯეთ საჯარო ბიბლიოთეკაში არსებული მიკოლოგიური ლიტერატურის კარტოთეკა და დარწმუნდებით, რომ მთელი ეს ლიტერატურა რუსეთსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშია დასტამბული, თუ არ ჩავთვლით დიდი ხნის წინათ თბილისში ნახუცრიშვილის ავტორობით გამოცემულ ერთადერთ საცნობარო ბროშურას, რომლის ტექნიკურ-პოლიგრაფიული დონე იმდენად დაბალია, ურიგს ვერც კი წარმოიდგენს კაცი. მართლ იმის თქმაც საკმარისია, რომ სოკოთა ილუსტრაციები მხოლოდ შავ-თეთრი ფერებით არის დაბეჭდილი და, ამასთან, ანაბეჭდები ბუნდოვანია.

როგორც ზემოთ ითქვა, ამ უკანასკნელ ხანს სოკოს პოპულარიზაციის საქმეს გარკვეული ყურადღება მიექცა. კერძოდ, გაზეთმა „კომუნისტმა" საკმაოდ ვრცელი წერილი მიუძღვნა საქართველოში მიკოლოგიის განვითარების პრაქტიკულ პრობლემებს. ორ რესტორანში „არაგვსა" და „კრწანისში" სპეციალური „სოკოს დარბაზიც" კი შეიქმნა და სხვა.

მიუხედავად ამისა, ეს საქმის ვითარებას ბევრად არ ცვლის. საქართველოში სოკოს პოპულარიზაციისათვის გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს, და აი, რატომ. ჩვენი რესპუბლიკა სოკოს ჯიშებითა და სიმრავლით არც ერთ სხვა რესპუბლიკას არ ჩამოუვარდება, პირიქით, შესაძლოა, ბევრად სჯარბობდეს კიდეც ზოგიერთს. მაგრამ, თუ საქართველოს ტყეებში სოკოდ ითვლება სანახავია კალათით ხელში სოკოს საკრეფად წასული კაცი, ეს იმიტომ, რომ, რაკი ჩვენში სოკოს საცნობარო ლიტერატურა ფაქტობრივად არ არსებობს, ხალხი წესიერად ვერ ერკვევა სოკოებში, ბევრმა არ იცის მათი დამუშავების, შენახვის წესები.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲚᲚᲐᲖᲔ

ლოზანაში განმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა, რომელზეც განიხილეს საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის მრავალი პრობლემა. სხდომაზე ცენტრალური ადგილი ეჭირა საკითხებს, რომლებიც მოსკოვის ოლიმპიადას უკავშირდება. სხდომის მონაწილენი შეხვდნენ „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობდა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ტ. ნოვიკოვი.

გამართულ პრესკონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინ